ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5273081

ნომერი: AR1796265

თარიღი : 07.01.2021

გაცემის თარიღი : 02.02.2021

გაცნობის თარიღი : 02.02.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაგრის , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ მაჩაიძე პ/ნ 01023008398
- თბილისი სანზონა კორ. 18ბ ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი, 2021 წლის 07 იანვრის AR1796265 განცხადება, რომლითაც ითხოვთ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ ფუნქციის ცვლილებას.

სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 14 ივნისის №4541700 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 31 (საკადასტრო კოდი: N 01.11.03.003.058) (ფართობი: : 8618.00 კვ.მ) ფაბრიკის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპ).

ფუნქციური ზონა: სამრეწველო ზონა 1 (ს-1) — შერეული სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად;

აღნიშნულის შებამისად ფუნქციური ზონით დასაშვებ 25 % ფარგლებში 16/08/2019წ. № 4635541 ბრძანებით შეთანხმდა ფაბრიკის უზრუნველსამყოფი საოფისე შენობის პროექტი და გაიცა ნებართვა.

განმცხადებელი ითხოვს 2019 წლის 14 ივნისის №4541700 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

ვინაიდან გაპი გაცემულია მხოლოდ ფაბრიკის ფუნქციით და არ ფიქსირდება საოფისე, შესაბამისად თქვენი მოთხოვნა ნაცვლად საოფისესი საწყობის ჩანაცვლებით უსაფუძვლოა. საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე საწყობის ( საკვები პროდუქტების საწყობი) განთავსების მიზნით და შემდეგ ეტაპზე მოითხოვოთ აღნიშნული გაპის საფუძველზე დამუშავებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

---

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.